



Tax and Legal Newsletter



ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

საგადასახადო კოდექსში 2020 წლის 22 მაისს შესული დამატებების მიხედვით:

1. 2020 წლის 1 მაისიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში, დამქირავებელი უფლებამოსილია შეიმციროს (ბიუჯეტში არ შეიტანოს) დაქირავებულისთვის 750 ლარამდე გაცემული ხელფასიდან დაკავებული და გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი, თუ დაქირავებულის მიერ ამავე დამქირავებლისგან კალენდარული თვის განმავლობაში მიღებული ხელფასი არ აღემატება 1,500 ლარს.

ამასთანავე შეღავათი არ ვრცელდება საბიუჯეტო ორგანიზაციაზე, საქართველოს ეროვნულ ბანკზე, ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოზე, საწარმოზე, რომლის აქციების/წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი და ამავე საწარმოს დაფუძნებულ/შვილობილ საწარმოზე, თუ ეს საწარმო მის მიერ დაფუძნებულ/შვილობილ საწარმოში აქციების/წილის 50%-ზე მეტს ფლობს;

2. 2020 წლის 1 მარტიდან 6 კალენდარული თვის/საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქონების იჯარის/ლიზინგის მომსახურება დღგ-ით დაიბეგრება შესაბამისი მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის ფაქტობრივად გადახდის საანგარიშო პერიოდში.

3. საქართველოს ფინანსთა მინისტრს/შემოსავლების სამსახურის უფროსს უფლება ეძლევა, ცალკეულ გადასახადის გადამხდელს 2020 წელს (მათ შორის, 2020 წლის თებერვალში, მარტში, აპრილსა და მაისში) გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის ან/და ქონების გადასახადის გადახდისთვის კოდექსით განსაზღვრული ვადა გაუგრძელოს არაუგვიანეს 2021 წლის 1 იანვრისა. ასეთ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს საურავი არ დაერიცხება.

4. საგადასახადო კოდექსში განხორციელებული დამატების მიხედვით, იმ ქონების გადასახადისგან

(მათ შორის, მიმდინარე გადასახდელისგან), რომლის გადახდა კოდექსით გათვალისწინებულია 2020 წელს, გათავისუფლებულია:

- სასტუმროების და განთავსების მსგავსი საშუალებების ან/და დასასვენებელი და სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალებების საქმიანობაში გამოყენებული ქონება;
- რესტორნების და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობაში გამოყენებული ქონება;
- ტურისტული სააგენტოების, ტურ-ოპერატორების და სხვა დაჯავშნის მომსახურების და მათთან დაკავშირებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება;

ამასთანავე, მითითებული საგადასახადო შეღავათი ვრცელდება იჯარით, ლიზინგით ან სხვა ამგვარი ფორმით გადაცემულ ქონებაზედაც, თუ ეს ქონება გამოიყენება რომელიმე ზემოაღნიშნულ საქმიანობაში.

იზოლაციისა და კარანტინის წესები

2020 წლის 22 მაისს, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე გაუქმდა საგანგებო მდგომარეობა, რაც დაწესებული იყო ჯერ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის #1 დეკრეტით, შემდეგ კი 2020 წლის 21 აპრილის #2 ბრძანებით. შესაბამისად ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის აღსრულების მიზნით გამოცემული მთავრობის 2020 წლის 23 მარტის #181 დადგენილება.

თუმცა დაწესებული შეზღუდვები საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის გაუქმებასთან ერთად ერთიანად არ მოხსნილა. შეზღუდვების ძალაში დატოვების ლეგიტიმაციისთვის, საქართველოს პარლამენტმა 2020 წლის 22 მაისს დაჩქარებული წესით მესამე მოსმენით მიიღო ცვლილება

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონში, რომლითაც საქართველოს მთავრობას, ან მთავრობის მიერ განსაზღვრულ სამინისტროს ნება დაერთო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებით თავად გამოსცეს იზოლაციისა და კარანტინის შესაბამისი წესი, რომლითაც შესაძლებელი იქნება განსაზღვროს საკარანტინო ზომები და დაწესდეს დროებითი შეზღუდვები, დაკავშირებული საჯარო დაწესებულებების, ადმინისტრაციულ ხელისუფლებაში შემავალი სხვა დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სხვა იურიდიული პირების საქმიანობასთან/ადმინისტრირებასთან, საჯარო სერვისების მიწოდებასთან, პირთა მიმოსვლასთან, საკუთრებასთან, შრომასთან, პროფესიულ ან ეკონომიკურ საქმიანობასთან, უკანონო მიგრაციასთან/საერთაშორისო დაცვასთან ან/და სოციალური ღონისძიებების ჩატარების მიზნით პირთა თავშეყრასთან.

მიუხედავად იმისა, რომ მოცემული საკანონმდებლო ცვლილების მიმართ არც თუ ისე უსაფუძვლოდ იმის მისი კონსტიტუციურობის შესახებ კითხვები, ვიდრე საკონსტიტუციო სასამართლო იმსჯელებდეს კანონში შესული ცვლილების კონსტიტუციურობის თაობაზე, მანამდე ცვლილება ძალას დაკარგავს. კერძოდ კანონში შესული ცვლილების მოქმედების ვადაა 2020 წლის 15 ივლისამდე.

მანამდე კი, ვიდრე ცვლილება ძალაშია, 2020 წლის 23 მაისს, საქართველოს მთავრობამ უკვე მიიღო შესაბამისი იზოლაციისა და კარანტინის წესები #322 დადგენილებით, რომლითაც გახანგრძლივდა ზოგიერთი იმ შეზღუდვის მოქმედების ვადა, რომელიც დაწესებული იყო საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის #181 დადგენილებით. იზოლაციისა და კარანტინის წესების მოქმედების ვადაა 2020 წლის 15 ივლისამდე, შესაბამისად დაწესებული შეზღუდვების მოქმედება გახანგრძლივდება მითითებულ თარიღამდე, თუ მანამდე ვითარების ცვლილების გამო სხვაგვარი გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული.

იზოლაციისა და კარანტინის წესებით ხდება მიმოსვლის რეგულირება, საგანმანათლებლო პროცესის რეგულირება, კულტურული და სპორტული ღონისძიებების შეზღუდვა, თავშეყრის რეგულირება, ეკონომიკური საქმიანობის რეგულირება, ასევე საჯარო დაწესებულებების საქმიანობის, ადმინისტრირებისა და საჯარო სერვისების მიწოდების დროებითი წესების და დადგენილების აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოების განსაზღვრა. დადგენილების მეორე თავი

მთლიანად ეხება ფიზიკური პირების მიმართ გასატარებელ იზოლაციისა და კარანტინის წესებს.

- **მიმოსვლის რეგულირება**
მთავრობის 2020 წლის 23 მარტის #181 დადგენილების მსგავსად, #322 დადგენილება კვლავ ითვალისწინებს, რომ საერთაშორისო სამგზავრო საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიმოსვლა იზღუდება. დასაშვებია მხოლოდ ისეთი ფრენები, რომლის დროსაც უცხო ქვეყნებიდან საჰაერო ხომალდი ჩამოფრინდება საქართველოში მგზავრების გარეშე, საქართველოდან მგზავრების გაყვანის მიზნით, ასევე გამონაკლისი ეხება არარეგულარულ ფრენებს და სპეციალური მიზნით შესრულებულ ფრენებს (მაგ. სამთავრობო, სასწავლო მიზნებით განხორციელებული ფრენები და სხვა). დადგენილების მოქმედების ვადით შეჩერებულია სარკინიგზო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა, ასევე რეგულარული საჰაერო ფრენები ქვეყნის შიგნით. შეზღუდვა ეხება ტაქსით მგზავრთა გადაყვანისას ავტოსატრანსპორტო საშუალებაში პირთა დასაშვებ რაოდენობაზე და მათ ქცევის წესზე;
- **საგანმანათლებლო პროცესის რეგულირება**
ცალკეული გამონაკლისის გარდა, ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა სასწავლო პროცესი უნდა განახორციელონ დისტანციური სწავლების/კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით (ასეთი შესაძლებლობის შემთხვევაში). ასევე ყველა სახის ტრენინგი, კონფერენცია და სემინარი უნდა ჩატარდეს დისტანციური ფორმით.
- **კულტურული და სპორტული ღონისძიებების შეზღუდვა**
არსებული გამონაკლისის გათვალისწინებით, კულტურული ღონისძიების ჩატარება დაშვებულია მხოლოდ დისტანციური ფორმით. იკრძალება ყველა ტიპის მასობრივი სპორტული ღონისძიება, მათ შორის, შეჯიბრი, სასწავლო-საწვრთნელი პროცესი/შეკრება როგორც დახურულ, ასევე ღია სივრცეში, სპორტის თემასთან დაკავშირებული ყველა ტიპის ტრენინგი, სემინარი ან/და კონფერენცია, გარდა დისტანციური ფორმისა.
- **თავშეყრის რეგულირება**

ცალკეული გამონაკლისების მხედველობაში მიღებით, იზღუდება 10-ზე მეტი ფიზიკური პირის ისეთი თავშეყრა, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებაში დამკვიდრებულ სოციალურ ღონისძიებებთან. დახურულ საჯარო სივრცეში თავშეყრისას ყველა პირი ვალდებულია, ატაროს პირბადე.

• ეკონომიკური საქმიანობის რეგულირება

დადგენილების მიხედვით ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობა დასაშვები გახდა. თუმცა საქმიანობის განხორციელების ფორმასთან დაკავშირებით შეზღუდვა კვლავ ძალაშია, კერძოდ, ეკონომიკური საქმიანობა, სპეციფიკის გათვალისწინებით, უნდა განხორციელდეს დისტანციურად, რაც გულისხმობს სახლიდან მუშაობას. კრიტიკულად აუცილებელ შემთხვევებში, დასაშვები გახდა საქმიანობის განხორციელება სამუშაო ადგილიდან იმ პირობით, რომ ოფისში დასაქმებული იქნება არაუმეტეს 10 ადამიანი. ამასთან აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების შემოწმებას ახორციელებს შემოსავლების სამსახური, რომლის შეხედულებაზეც არის დამოკიდებული იმის განსაზღვრა, ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტის ოფისიდან საქმიანობა კრიტიკული აუცილებლობით იყო განპირობებული თუ არა.

ყველა ეკონომიკური საქმიანობა უნდა განხორციელდეს ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, არანაკლებ 2 მეტრის სოციალური დისტანციის დაცვითა და პირბადით.

დადგენილების მიხედვით სრული შეზღუდვა არის დაწესებული შემდეგი ეკონომიკურ საქმიანობებზე:

- რესტორანში, ბარში, კაფესა და ნებისმიერი სახის სასადილოში მომხმარებლის ადგილზე კვებით მომსახურებაზე, რომელიც ხორციელდება დახურულ სივრცეში;
- სპორტული, კულტურული და გასართობი ღონისძიებების ორგანიზებაზე/ჩატარებაზე;
- სპორტულ-გამაჯანსაღებელ პროცედურებზე/აქტივობებზე;
- ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობაზე;

სანქციები დაწესებული შეზღუდვების შეუსრულებლობისთვის

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ მუხლის თანახმად, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით დადგენილი იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2 000 ლარით, ხოლო იურიდიული პირისა – 10 000 ლარით. სამართალდარღვევის განმეორების შემთხვევაში, გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

Contact information

bakertilly
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.